საკონკურსო პირობები თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის მონაწილეებმა უნდა შეასრულონ მიმართულებების მიერ დადგენილი პროგრამა და ჩაატარონ ღია გაკვეთილი:

კლავიშიანი საკრავები (ფორტეპიანო)

1) 45-50 წუთის ხანგრძლივობის პროგრამა (1 განყოფილება) უნდა შეიცავდეს ოთხ სტილურ ეპოქას - ბაროკოს, კლასიციზმს, რომანტიზმსა და XX-XXI საუკუნეებს. ნაწარმოებები უნდა შესრულდეს გამეორებების გარეშე;
2) ღია გაკვეთილი კონსერვატორიის სტუდენტთან (ღია გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).

საკონცერტმაისტერო დაოსტატება

1) 45-50 წუთის ხანგრძლივობის პროგრამა (1 განყოფილება) უნდა შეიცავდეს:

- ბაროკოს ეპოქის ან კლასიკურ გავრცობილ არიას;
- საოპერო ნაწყვეტს ან გავრცობილ არიას (XIX-XX სს);
- ვოკალურ ციკლს ან რომანსების ნაკრებს;
- 4-5 ლიდს (Lied);
- ვირტუოზულ საკრავიერ პიესას.

2) ღია გაკვეთილი კონსერვატორიის სტუდენტთან 1 აკადემიური საათი(ღია გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).

კამერული ანსამბლი და კვარტეტი

1) 40 წუთის ხანგრძლივობის პროგრამა (1 განყოფილება) უნდა შეიცავდეს კლასიციზმის, რომანტიზმის და XX-XXI საუკუნეების მუსიკას (დაშვებულია ციკლიური ნაწარმოებების ნაწილების შესრულება);
2) ღია გაკვეთილი კონსერვატორიის სტუდენტთან(ღია გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).

დამხმარე ფორტეპიანო

1) 45-50 წუთის ხანგრძლივობის პროგრამა (1 განყოფილება) უნდა შეიცავდეს ოთხ სტილურ ეპოქას - ბაროკოს, კლასიციზმს, რომანტიზმსა და XX-XXI საუკუნეებს. ნაწარმოებები უნდა შესრულდეს გამეორებების გარეშე;

2) ღია გაკვეთილი კონსერვატორიის სტუდენტთან (ღია გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).

სოლო აკადემიური სიმღერა

1) 35-40 წუთის ხანგრძლივობის პროგრამა, უნდა შეიცავდეს:
   - ბაროკოს ეპოქის (XVII ს. ბოლო, XVIII ს. დასაწყისი) 2 არიას;
   - 2 საოპერო გავრცობილ არიას (დასვლ. ევროპელი კომპოზიტორები);
   - ქართულ საოპერო არიას;
   - ლიდს (Lied);
   - 2 არიას რუსი კომპოზიტორების ოპერებიდან;
   - 2 რომანსს (შემსრულებლის არჩევით).

2) ღია გაკვეთილი კონსერვატორიის სტუდენტთან (ღია გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).

საოპერო მომზადება

1.კონკურსანტს შესარჩევად მიეცემა 6 ფრაგმენტი სხვადასხვა ოპერიდან, რომელთა შორის მან საბუთების შეტანისას უნდა გააკეთოს არჩევანი. კონკურსანტს ეძლევა თავისი უნარ-ჩვევების დემონსტრირებისთვის 1 საათი; აქედან, 30 წთ. ის მარტო მუშაობს ორკესტრსა და მომღერალთან ერთად. შემდეგი 30 წთ. თავად განსაზღვრავს - კომისიის წინაშე აგრძელებს მუშაობას მომღერალსა და ორკესტრთან ერთად და მოიცავს სრულ მასალას ან მუშაობას უთმობს არასრულ დროს და შემდეგ ასრულებს მოცემულ ფრაგმენტს.

2. ღია გაკვეთილი კონცერტმაისტერსა და ვოკალისტ სტუდენტთან ერთად (ორივე ტურის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).

შესარჩევი რეპერტუარი:

1. ჩაიკოვსკი - ტატიანას წერილის სცენა ოპერიდან „ევგენი ონეგინი“;
2. ლეონკავალი - სილვიოს და ნედას დუეტი ოპერიდან „ჯამბაზები“;
3. პუჩინი - მიმის და რუდოლფის დუეტი (მე-3 აქტი) ოპერიდან „ბოჰემა“;
4. დონიცეტი - ნემორინოსა და ადინას სცენა და დუეტი ოპერიდან „სიყვარულის ნექტარი“;
5. დონიცეტი - ადინას და დულკამარას სცენა და დუეტი ოპერიდან „სიყვარულის ნექტარი“;
6. როსინი - როზინას და ფიგაროს დუეტი ოპერიდან „სევილიელი დალაქი“.

საორკესტრო-ჩასაბერი საკრავები (კამერული ანსამბლი)

1) ხის ჩასაბერი საკრავების შემთხვევაში 40 - 45 წუთის, ლითონის ჩასაბერ საკრავთა შემთხვევაში - 30-35 წუთის ხანგრძლივობის პროგრამა (1 განყოფილება). უნდა შეიცავდეს ოთხ სტილურ ეპოქას - ბაროკოს,

კლასიციზმს, რომანტიზმსა და XX-XXI საუკუნეებს. აუცილებელია მინიმუმ ორი ნომერი იყოს კამერული ნაწარმოები ფორტეპიანოს თანხლებით (სასურველია, ფორტეპიანოს გარდა სხვა საკრავებიც შედიოდეს კამერულ ანსამბლში), ხოლო ორი - ჩასაბერ საკრავთა ანსამბლისთვის დაწერილი თხზულება;

2) ღია გაკვეთილი კონსერვატორიის სტუდენტთან (ღია გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).

საორკესტრო-სიმებიანი საკრავები (ვიოლინო)

1) 40 - 45 წუთის ხანგრძლივობის პროგრამა (1 განყოფილება) აუცილებლად უნდა შეიცავდეს ი.ს. ბახის სოლო სავიოლინო სონატის ნებისმიერ ორ ნაწილს, ნებისმიერი სავიოლინო კონცერტის I ნაწილს კადენციასთან ერთად, ერთ ვირტუოზულ ნაწარმოებს, და თანამედროვე კომპოზიტორის ნაწარმოებს;
2) ღია გაკვეთილი კონსერვატორიის სტუდენტთან(ღია გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).

აკადემიური გუნდის დირიჟორობა

1. **პროგრამის შესრულება საგუნდო კოლექტივთან**

პროგრამის ხანგრძლივობა 35 – 40 წუთი. პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ სამ ეპოქას. აკაპელა ნაწარმოებები უნდა შეადგენდეს პროგრამის არანაკლებ სამ მეოთხედს. საგუნდო კოლექტივი უნდა წარმოადგინოს თავად კონკურსანტმა. (მიმართულება თვლის, რომ გუნდით ამ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს კონკურსანტებს).
<u>სანიმუშო</u> რეპერტუარი: ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმეობების ნუსხა:

ა კაპელა ნაწარმოებები :

1. ნ.სულხანიშვილი „ გუთნური“;
2. ა.მაჭავარიანი „ დოლური“;
3. ი.კეჭაყმაძე „წამებული ქეთევანი“, „სიყრმე ხელიდან გამისხლტა“;
4. ჯ.ბეგლარიშვილი „რომანსი“, „ლხინი სოფლად“, „შევიშრობ ცრემლსა”;
5. ზ.ბოლქვაძე „უკანასკნელად“;
6. მ.ფარცხალაძე „კრწანისის ყაყაჩოები“;
7. შ.მშველიძე „ფშაური“;
8. შ.გუნო „ ღამე“;

9. დ.შოსტაკოვიჩი „9 იანვარი“, „დადუმდნენ ქვემეხები “ - ციკლიდან „ათი საგუნდო პოემა“;
10. ა.არენსკი „ანჩარი“;
11. ჯ.ვერდი „AVE MARIA“, „PATER NOSTER“;
12. ფ.პულენკი „TENEBRAE FAKTAE SUNT.

ნაწარმოებები თანხლებით:

1. ი.ს ბახი მესა h moll N3, N8, N15, N16, ...
2. ი. ჰაიდნი „ ნელსონ მესა“ KIRIE“, ორატორია “სამყაროს შექმნა” N 11
3. ვ.ა.მოცარტი “REQVIEM“ N 1, N8, N9
4. ზ.ფალიაშვილი “აბიო მეფე“, „ჩაკრულო“ ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“, მეორე მოქმედების ფინალი ოპერიდან „ დაისი“
5. გ.ფორე “REQVIEM “- „LIBERAME“
6. ჰ.ვოლფი „ცეცხლოვანი მხედარი“
7. ფ.პულენკი „ GLORIA“ N 6, “STABAT MATER”N 1
8. რატერი “REQVIEM“ - LUX AETERNA

2. **გაკვეთილის ჩატარება**:

ა) დირიჟორობა - კონსერვატორიის აკადემიური გუნდის მიმართულების ბაკალავრიატის მე-3 კურსის სტუდენტთან - 1 აკადემიური საათის ხანგრძლივობით. სტუდენტის შერჩევას უზრუნველყოფს აკადემიური გუნდის მიმართულება; გაკვეთილის თემა - 2 ნაწარმოები: აკაპელა და თანხლებით ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმეობების ნუსხიდან (იხ. ნუსხა). კონკურსანტს წარედგინება 3 პროგრამა 3 საგამოცდო ბილეთის სახით, გამოცდის წინ 1 საათით ადრე. გაკვეთილის დროის გადანაწილება - კონკურსანტის შეხედულებისა და სტუდენტთან მუშაობის მოთხოვნის შესაბამისად. მიმართულების რეკომენდაციით პროპორცია უნდა იყოს 2/3 – 1/3 (აკაპელა - თანხლებით);

ბ) საგუნდო კლასი - 1 აკადემიური საათის ხანგრძლივობით.
გაკვეთილის თემა - უცხო ნაწარმოები. კონკურსანტს წარედგინება 5 უცხო ნაწარმოები 5 საგამოცდო ბილეთის სახით, გამოცდის წინ 1 საათით ადრე.

კანდიდატს კოლექტივით უზრუნველყოფს აკადემიური გუნდის მიმართულება.

ჯაზის ხელოვნება

1) 30-45 წუთის ხანგრძლივობის პროგრამა (1 განყოფილება), რომელიც წარმოაჩენს კონკურსანტის ანსამბლურ და სოლისტურ ღირსებებს.

2) ღია გაკვეთილი კონსერვატორიის სტუდენტთან (ღია გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს კონსერვატორია).